განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

დანართი №1

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

შპს ,,ჯეო სქაი სქულ"

შეფასების თარიღები ------ 1 და 2 სექტემბერი

დასკვნის წარდგენის თარიღი ------16 სექტემბერი

Maka Tukvadze 01019028119
Digitally signed by Maka Tukvadze
Date: 2022.09.15 20:48:00

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

## I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია დაწესებულების შესახებ | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება | შპს ,,ჯეო სქაი სქულ“ |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება** |
| საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | **404632876** |

| ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს: | |
|---|---|
| დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | კი |
| საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | კი |
| საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | კი |
| საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა | არა |
| საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა | არა |

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | თბილისი |
| იურიდიული მისამართი | ქალაქი თბილისი, კრწანისის I ჩიხი № 23 |
| ფაქტობრივი მისამართი | ქალაქი თბილისი, კრწანისის ქუჩა № 38 |
| საფოსტო ინდექსი | **0114** |
| დაწესებულების ვებგვერდი | http://www.geoskyschool.ge/ |
| დაწესებულების ელ-ფოსტა | GeoSkySchool@yahoo.com |
| დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი | 595303059 |
| ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი) | მადონა ხარატიშვილი |
| ტელეფონის ნომერი/ფაქსი | 595303059 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| ელ-ფოსტა | mdshool2001@gmail.ycom |

### III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი | სსიპ განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება N 930537 22/08/2022 |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 2022 წლის 1 და 2 სექტემბერი, |
| ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი) | მაკა ტუკვაძე |
| წევრი (სახელი, გვარი) | მარიამ ხუციშვილი |

### IV. ვიზიტის შეჯამება

**ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| სტანდარტი/ქვესტანდარტი | | ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი | სტანდარტი დაკმაყოფილებულია | სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული |
|---|---|---|---|---|
| **1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები** | | **მუხლი 6** | ☒ | ☐ |
| 1.1 | სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას | **მუხლი 6/ პუნქტი ა)** | ☒ | ☐ |
| 1.2 | სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები | **მუხლი 6/ პუნქტი ბ)** | ☒ | ☐ |
| 1.3 | სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | **მუხლი 6/ პუნქტი გ)** | ☒ | ☐ |
| 1.4 | სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება | **მუხლი 6 / პუნქტი დ)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად | | | |
| 1.5 | შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით | **მუხლი 6 / პუნქტი ე)** | ☒ | ☐ |
| 1.6 | შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი | **მუხლი 6 / პუნქტი ვ)** | ☒ | ☐ |
| **2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი** | | **მუხლი 7** | ☒ | ☐ |
| 2.1 | დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის: | **მუხლი 7 / პუნქტი ა)** | ☒ | ☐ |
| 2.1.1 | ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებგონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით | **მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)** | ☒ | ☐ |
| 2.1.2 | საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული | **მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით | | | |
| 2.1.3 | სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი | **მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)** | ☒ | ☐ |
| 2.1.4 | სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები | **მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)** | ☒ | ☐ |
| 2.2. | სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები | **მუხლი 7 / პუნქტი ბ)** | ☒ | ☐ |
| 2.3 | სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით | **მუხლი 7 / პუნქტი გ)** | ☒ | ☐ |
| 2.4 | სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | **მუხლი 7 / პუნქტი დ)** | ☒ | ☐ |
| 2.5 | სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და | **მუხლი 7 / პუნქტი ე)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | საინფორმაციო ფუნქციას | | | |
| 2.6 | სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | **მუხლი 7 / პუნქტი ვ)** | ☒ | ☐ |
| 2.6.1 | ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი | **მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა)** | ☒ | ☐ |
| 2.6.2 | თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა | **მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ)** | ☒ | ☐ |
| 2.6.3 | სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები | **მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ)** | ☒ | ☐ |
| 2.6.4 | წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად | **მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ)** | ☒ | ☐ |
| 2.6.5 | კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ | **მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს | | | |
| 2.7 | სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | **მუხლი 7/ პუნქტი ზ)** | ☒ | ☐ |
| 2.8 | შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | **მუხლი 7/ პუნქტი თ)** | ☒ | ☐ |
| 2.9 | დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა | **მუხლი 7/ პუნქტი ი)** | ☒ | ☐ |
| **3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი** | | **მუხლი 8** | ☒ | ☐ |
| 3.1 | სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | **მუხლი 8 / პუნქტი ა)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 3.2 | სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | მუხლი 8 / პუნქტი ბ) | ☒ | ☐ |
| 3.3 | სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | მუხლი 8 / პუნქტი გ) | ☒ | ☐ |
| 3.4 | მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | მუხლი 8/ პუნქტი დ) | ☒ | ☐ |
| 3.5 | სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | მუხლი 8/ პუნქტი ე) | ☒ | ☐ |
| 3.6 | სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | მუხლი 8/ პუნქტი ვ) | ☒ | ☐ |

## V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ი ს  ხ ა რ ი ს ხ ი ს  გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს  ე რ ო ვ ნ უ ლ ი  ც ე ნ ტ რ ი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

| *სტანდარტი* | *საგანმანათლებლო პროგრამები* | *ხარვეზი* |
|---|---|---|
| *ქვესტანდარტი* | *1.1.* | |
| | *1.2.* | *...............* |
| | | |
| *სტანდარტი* | *მატერიალური რესურსი* | |
| *ქვესტანდარტი* | *2.2.* | *...............* |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი* | *ადამიანური რესურსი* | |
| *ქვესტანდარტი* | *3.1.* | |
| | | |

## VI. რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.*

| *სტანდარტი* | *საგანმანათლებლო პროგრამები* | *რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| *ქვესტანდარტი* | *1.1.* | დაწესებულებამ გაითვალისწინოს საათობრივ ბადეში საგნების წლიური ჯამური საათების რაოდენობა (ესგ.მუხლი 23,პუნქტი 1) |
| | *1.2.* | |
| | 1.4 | 1. დაწესებულება დამატებითი სავალდებულო საგნის სასწავლო გეგმის შედგენის დროს გაითვალისწინოს ესგ-ს 22-ე მუხლის მე-9 პუნქტი. დამატებითი სავალდებულო საგნის სასწავლო გეგმა უნდა მოიცავდეს:<br>ა) საგნის სწავლების მიზნებს (სადაც ჩამოყალიბებული იქნება, თუ რა ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულებების შეძენას ითვალისწინებს ეს კურსი);<br>ბ) შეფასების ფორმასა (ქულა, ჩათვლა) და პრინციპებს;<br>გ) საჭირო საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალს. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | |
|---|---|---|
| | | 2. შეფასების რუბრიკების შემუშავების დროს, სკოლამ გაითვალისწინოს ათქულიანი სისტემის ხუთი დონეზე გადანაწილების პრინციპი (ესგ მუხლი 30, პუნქტი-1) |
| ***სტანდარტი*** | *მატერიალური რესურსი* | |
| ***ქვესტანდარტი*** | 2.1.(გ) | |
| | 2.3 | |
| | 2.5 | |
| | 2.6-ე | |
| ***სტანდარტი*** | *ადამიანური რესურსი* | |
| ***ქვესტანდარტი*** | *3.1.* | |
| | | |

## VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

| | |
|---|---|
| საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი | |

| | |
|---|---|
| დაწესებულების მისია | შპს „ჯეო სქაი სქულ“-ის მისიაა უსაფრთხო, მოდერნისტული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შექმნა, რომელიც მოწოდებულია, აღზარდოს პატრიოტი, თავისუფლად მოაზროვნე, ტოლერანტი, სოციალურად აქტიური მოქალაქე, რომელიც კონკურენტუნარიანი იქნება დღევანდელ სწრაფადცვალებად სამყაროში და მომავალში პროდუქტიულ წვლილს შეიტანს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.<br>სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისათვის ხარისხიან საგანმანათლებლო მომსახურებათა გაწევას, რომელიც საშუალებას მისცემს მათ, მომავალში დამოუკიდებლად აითვისონ ახალი ცოდნა და შეძლონ ლაღად „იფრინონ“ კარიერული მწვერვალებისკენ.<br>სკოლა ორიენტირებულია უცხო ენების და STEAM საგნების გაძლიერებით სწავლებაზე, სწავლების ინოვაციური მეთოდებისა და პრაქტიკული საგანმანათლებლო პროექტების ფართოდ დანერგვისაკენ, რომლებიც ხელს შეუწყობენ შპს „ჯეო სქაი სქულს“ ღირსეული ადგილი დაიმკვიდროს თბილისის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | კონკურენტუნარიან სკოლებს შორის.<br>სკოლისათვის უმნიშვნელოვანესია:<br>✓ მოსწავლეებს შეეძლოთ ანალიტიკური აზროვნება და საკუთარი აზრის გამართულად გადაცემა ზეპირად და წერილობით;<br>✓ მოსწავლეებს შეეძლოთ მიიღონ ეთიკური გადაწყვეტილებები;<br>✓ მოსწავლეები აღიარებდნენ სამყაროს და საზოგადოების მრავალფეროვნებას და იყვნენ ტოლერანტულები. |

**VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი** (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

| | |
|---|---|
| **წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა** | |

**IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება**

| | | |
|---|---|---|
| მოსწავლეთა რაოდენობა:<br>------160-------- | ექსპერტი ეთანხმება<br>☒ | აღწერა<br>*(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)* |
| | ექსპერტი არ ეთანხმება<br>☐ | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

## X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

### 1. საგანმანათლებლო პროგრამები

| 1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს ,,ჯეო სქაი სქულ"-მა, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, წარადგინა საავტორიზაციო განაცხადი თანდართული დოკუმენტაციით, მათ შორის დირექტორის ბრძანებით (ბრ.№22, 20/04/2022) დამტკიცებული 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა.<br>სასკოლო სასწავლო გეგმა განსაზღვრავს სკოლის მისიას, სწავლა-სწავლების ძირითად მიზნებს, ძირითად მეთოდიკურ ორიენტირებს, დისტანციური სასწავლო პროცესის ორგანიზების გეგმას.<br>სსგ-ით ასევე განსაზღვრულია სწავლების ენა-ქართული ენა და საფეხურები -დაწყებით, საბაზო და საშუალო . დაწყებითი საფეხური მოიცავს I-VI კლასებს, საბაზო საფეხური - VII-IX კლასებს, ხოლო საშუალო საფეხური- X-XII კლასებს.<br>**სასწავლო წლის კალენდარი-** სასწავლო წლის დაწყება-დასრულების ვადები და არდადეგების ხანგრძლივობა, თანხვედრაშია ესგ-სთან, სსგ-ს მიხდვით გაკვეთილების ხანგრძლივობა I- XII კლასებში 40 წუთია, თუმცა, სკოლამ შესაძლოა, ხანმოკლე ვადით შეცვალოს (გაზარდოს ან შეამციროს) გაკვეთილების განრიგი მაგრამ, არანაკლებ 30 წუთამდე. სსგ-ს დანართის სახით თან ერთვის 35, 40 და 45 წუთიანი გაკვეთილების განრიგი. გაკვეთილებს შორის არის 5 წუთიანი და ორი 15 წუთიანი (მესამე და მეოთხე გაკვეთილის შემდეგ) დასვენება კვებისა და შესვენებისთვის. გასაუბრების დროს სკოლის დირექციამ აღნიშნა, რომ პირველ კლასში გაკვეთილების ხანგრძლივობა 35 წუთია, რაც არ იყო აღნიშნული სსგ-ში.<br>**განაყოფები-** განაყოფები გათვალისწინებულია უცხოურ ენებში. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | პირველი უცხოური ენა- I-IVკლასები, მეორე უცხოური ენა II-IVკლასები.<br>**მოსწავლეთა რაოდენობა**-კლასში მოსწავლეთა რაოდენობა განისაზღვრება მაქსიმუმ 15 მოსწავლით.<br>**საგნობრივი კათედრის მუშაობის პრინციპები**-შექმნილია სამი კათედრა: ენების კათედრა; საზოგადოებრივ მეცნიერებათა, სპორტისა და ესთეტიკის კათედრა; ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრა.<br>**მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების სისტემა,** რომელიც განსაზღვრავს შეფასების მიზანს და პრინციპებს, დამატებითი სავალდებულო საგნების შეფასებას, ქულების გამოანგარიშების წესს, კლასისა და საფეხურის დაძლევას, ვადებსა და პირობებს გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენისთვის, საშემოდგომო და წლიური გამოცდების ჩატარების წესებსა და პირობებს, მოსწავლის აკადემიური მიღწევის აღიარებას. წლიური გამოცდა განსაზღვრულია მათემატიკასა და ინგლისურში VII-XII კლასებში, გამოცდის ქულას გავლენა არ ექნება საგნის წლიურ ქულაზე;.<br>**საათობრივ ბადე-** აზუსტებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სავალდებულო, დამატებით სავალდებულო საგნების კვირეულ ჯამური საათების რაოდენობას, **არ ითვალისწინებდა საგნების წლიური ჯამური საათების რაოდენობას (ესგ.მუხლი 23,პუნქტი 1)**<br>დაწესებულებას შემუშავებული აქვს მე-3 მოდელის საათობრივი ბადე, რომელიც 14 ივლისს (წერილი №4/02 14/07/2022), შესათანხმებლად წარადგინა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში. ვიზიტის დროს, ესგ-ში განხორციელებული ცვლილების (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 19 აგვისტოს №93 და №94 ბრძანებები) ასახვა მოხდა სასკოლო გეგმაში. კერძოდ კი, პირველი და მეათე კლასების საათობრივ ბადეში. დაწესებულებამ კიდევ წარადგინა შეცვლილი ბადის შეთანხმების წერილი (წერილი 4/10 02.09.22) სამინისტროში.<br>საათობრივ ბადეში წარმოდგენილია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო და არჩევითი საგნები. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სკოლის პრიორიტეტია უცხოური ენები. პირველ კლასის პირველი სემესტრიდან იწყება ინგლისური ენის სწავლება (პირველი უცხო ენა) კვირაში-4სთ. II-VIII და XIკლასებში გათვალისწინებულია 5სთ დატვირთვა კვირაში, IX-X კლასებში -4სთ , XIIკლასში-6 სთ. მეორე უცხო ენის შესწავლას იწყებს მეორე კლასიდან. არჩევანი შეიძლება გააკეთონ გერმანულ ენასა და რუსულს ენას შორის. გაზრდილია საბუნებისმეტყველო საგნების საათობრივი დატვირთვა საშუალო საფეხურზე. კერძოდ, მე-10 კლასში -ბიოლოგია, ფიზიკა და ქიმია ისწავლება 3სთ. ხოლო მე-11 კლასში-ქიმია-3 სთ.<br>არჩევითი საგნებად განსაზღვრულია:<br>✓ კომპიუტერული მეცნიერება -10 კლასი,<br>✓ მულტიმედია და დიზაინი -11<br>✓ მეწარმეობის საფუძვლები - 12<br>დამატებითი სავალდებულო საგანმანათლებლო მომსახურება 1 სთ დატვირთვა კვირაში:<br>✓ წიგნიერება I-IV<br>✓ ფსიქოლოგის საათი I-IV<br>✓ ჭადრაკი -II-VI<br>✓ Craft - I-VI<br>✓ მენტალური არითმეტიკა- I-II<br>✓ სახალისო მათემატიკა -III-VI<br>✓ პრაქტიკული მეცნიერება -VII-IX<br>✓ პროგრამირება -VII-IX<br>დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება კლუბის სახით:<br>✓ დებატების კლუბი - კვირაში 2 საათი - VII-VIII-IX კლასებში;<br>✓ რა?სად?როდის? - კვირაში 2 საათი - X-XI-XII კლასებში;<br>✓ კინოკლუბი - კვირაში 2 საათი - VII-VIII კლასებში;<br>✓ თეატრალური კლუბი - კვირაში 2 საათი -V-VI კლასებში;<br>✓ ავიამოდელირება - კვირაში 2 საათი - X-XI-XII კლასებში;<br>✓ Craft - კვირაში 2 საათი - VII-XII კლასებში;<br>✓ ცურვა - კვირაში 2 საათი - I-XII კლასებში;<br>✓ გახანგრძლივებული სწავლების წრე - საგაკვეთილო საათების შემდეგ 18:00 საათამდე - I-VI კლასებში |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | დაწესებულება I – VI კლასის მოსწავლეებს სთავაზობს ორჯერად კვებას გახანგრძლივებული სწავლების სურვილის შემთხვევაში.<br>დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების სასწავლო პროგრამები დანართის სახით თან ერთვის სასკოლო სასწავლო გეგმას.<br>**ტუტორის სააღმზრდელო პროგრამა-** ყველა კლასს ჰყავს ტუტორი, შემუშავებულია ტუტორის მუშაობის დებულება, რომელიც განსაზღვრავს ტუტორის ფუნქციებს, ტუტორის მუშაობის სააღმზრდელო პრინციპებს და რეკომენდაციებს ტუტორის პროგრამის განხორციელების შესახებ.<br>**ინკლუზიური განათლება**<br>გაზიარებულია ინკლუზიური განათლების პრინციპი, თანაბრად ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო გარემო, რომლის ფარგლებშიც ყველა მოსწავლისთვის გათვალისწინებულია განათლების ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროება და შესაძლებლობა სასკოლო სასწავლო გეგმას დანართი სახით თან ერთვის სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში.<br>სსგ-ში გაწერილია საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი, მათ შორის გრიფირებული სახელმძღვანელოები დანართის სახით.<br>სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და ემსახურება ესგ-ით განსაზღვრული სტანდარტების დაძლევას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • 2022-2023 წწ სასკოლო სასწავლო გეგმა.<br>• საათობრივი ბადის შეთანხმების წერილები: №4/02 14/07/2022 და 4/10 02.09.22<br>• სკოლის დირექციასთან გასაუბრება<br>• სასკოლო გეგმის დანართები |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი | სასკოლო სასკოლო გეგმით განსაზღვრული საგნობრივი კათედრების, დამატებითი საგანმანათლებლო პროგრამების და |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| მიმოხილვა და ანალიზი | ტუტორის სამუშაო დებულების გაცნობამ, ასევე სკოლის დირექციასთან და პედაგოგებთან გასაუბრებამ გვიჩვენა, რომ დაწესებულება ორიენტირებულია დააკმაყოფილოს სამივე საფეხურის მოსწავლეთა ინტერესები. სსგ-ით აგრეთვე განსაზღვრულია გამჭოლი უნარები და ღირებულებები, რომელთა ჩამოყალიბებას უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესი.<br>დაწესებულებაში შეიქმნა სამი საგნობრივი კათედრა.<br>✓ ენების კათედრა;<br>✓ საზოგადოებრივ მეცნიერებათა, სპორტისა და ესთეტიკის კათედრა;<br>✓ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრა.<br>კათედრების მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმებიდან ჩანს, რომ პედაგოგებს გააზრებული აქვთ ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა და მისი მოთხოვნები. საგნობრივი კურიკულუმები განსაზღვრავს წლის მანძილზე შესასწავლ თემებს, თემის ფარგლებში განსახილველ საკითხებს და დაგეგმილ კომპლექსურ დავალებებს შესაბამისი თემატური მატრიცებით. თემატური მატრიცით წარმოდგენილი გრძელვადიანი მიზნები და მისაღწევი შედეგები თანხვედრაშია ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნობრივი სტანდარტის შედეგებთან.<br>დაწესებულებამ სამივე საფეხურის მოსწავლეებისთვის შეიმუშავა მრავალფეროვანი დამატებითი საგანმანათლებლო პროგრამები, როგოროც სავალდებულო, ასევე კლუბების სახით.<br>ტუტორის სააღმზრდელო პროგრამა მოიცავს ისეთ აქტივობებს როგორიცაა<br>✓ სასწავლო-შემოქმედებითი ექსკურსიები;<br>✓ მხატვრულ-ლიტერატურული ღონისძიებები;<br>✓ შემეცნებით-ინტელექტუალური ღონისძიებები;<br>✓ შიდასასკოლო კონკურსების, შეხვედრებისა და გამოფენების მოწყობა;<br>✓ სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობა<br>აღნიშნულიდან ჩანს, რომ სასკოლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | უნარები და ღირებულებები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სასკოლო სასწავლო გეგმა<br>• გასაუბრება სკოლის დირექციასთან და პდაგოგებთან<br>• საგნობრივი კურიკულუმები<br>• ტუტორის მუშაობის დებულება |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია ინკლუზიური განათლება, სადაც გაწერილია ინკლუზიური განათლების ძირითადი პრინციპები, სსსმ მოსწავლის განმარტება, სსსმ მოსწავლის მიღება და გარემოს მოწყობა, სსსმ მოსწავლის აკადემიურ შეფასება, გაცდენები, შინ სწავლება, ინკლუზიურ განათლების მართვაში ჩართული პირების ვალდებულებები და ისგ-ს ნიმუში.<br>სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მრავალფეროვანი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროგრამები მოსწავლეებს საშუალებას მისცემს ჩაერთონ სხვადასხვა არაფორმალურ აქტივობებში ინტერესების და შესაძლებლობების გათვალისწინებით.<br>გახანგრძლივებული სწავლება ითვალისწინებს მოსწავლეთა მხარდაჭერას აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად, ტუტორის პროგრამა ორიენტირებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროების დადგენას და პრობლემის აღმოფხვრისთვის საჭირო აქტივობების განხორციელებაზე. ტუტორი უფლებამოსილია, დაესწროს კლასში გაკვეთილებს და იქონიოს ინფორმაცია მოსწავლეთა აკადემიური მოსწრებისა და დისციპლინის შესახებ.<br>აღნიშნულიდან ჩანს, რომ სასკოლო გეგმით განსაზღვრული პროგრამები უზრუნველყოფენ მოსწავლეს სწავლებისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • 2022-2023 სასკოლო სასწავლო გეგმა<br>• ტუტორის მუშაობის დებულება<br>• მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა-ნიმუში |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| 1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დაწესებულებას შემუშავებული აქვს მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების სისტემა. აღნიშნული წესი განსაზღვრავს შეფასების მიზნებს, პრინციპებს, შეფასების ტიპებს, აკადემიური მიღწევის დონეებს, მოსწავლის შეფასების კომპონენტებს, განმსაზღვრელ ქულათა სახეობებს, ქულათა გაანგარიშების წესს, კლასისა და საფეხურის დაძლევას, გამოცდების ტიპებს სკოლაში, გაცდენებს, შინ სწავლებას და მოსწავლის აკადემიური მიღწევის აღიარებას,<br>სკოლა იყენებს განმსაზღვრელი და განმავითარებელი ტიპის შეფასებებს. განმსაზღვრელი შეფასების დროს მოსწავლე ფასდება ათქულიანი სისტემით ხუთი დონის მიხედვით. I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში მოსწავლე არ ფასდება ქულებით. ამ კლასებში მხოლოდ განმავითარებელი შეფასება გამოიყენება. V კლასის მეორე სემესტრსა და VI-XII კლასებში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენება. VII კლასამდე საშინაო დავალების კომპონენტში მხოლოდ განმავითარებელი შეფასებაა შესაძლებელი. V კლასის II სემესტრიდან XII კლასის ჩათვლით სპორტის საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულ საგნებში, საგანში „საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება“ და არჩევით საგნებში მოსწავლე ფასდება ჩათვლის სისტემით: ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა.<br>სასკოლო გეგმით, დამატებითი სავალდებულო საგნის/საგნების შეფასება არ იანგარიშება საფეხურის ქულის გამოთვლისას. დამატებით სავალდებულო საგნებში გამოიყენება მხოლოდ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | განმავითარებელი შეფასება . **ეროვნული სასწავლო გეგმის 22-ე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, დამატებითი სავალდებულო საგნის სასწავლო გეგმა უნდა მოიცავდეს:**<br>**ა) საგნის სწავლების მიზნებს (სადაც ჩამოყალიბებული იქნება, თუ რა ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულებების შეძენას ითვალისწინებს ეს კურსი);**<br>**ბ) შეფასების ფორმასა (ქულა, ჩათვლა) და პრინციპებს;**<br>**გ) საჭირო საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალს.**<br>დირექციის განმარტებით, დამატებითი სავალდებულო საგნებში დაწყებით საფეხურზე მოსწავლეები შეფასდებიან განმავითარებელი შეფასებით, ხოლო საბაზო საფეხურზე შემდეგი პრინციპით: მიმდინარე შეფასება-განმავითარებელი; სემესტრული და წლიური შეფასება ჩათვლის სისტემით. ასეთივე პრინციპი იქმება გამოყენებული დაწყებითი საფეხურის მე-5 კლასის მე-2 სემესტრში და მე-6 კლასში. თუმც, აღნიშნულის განმარტება არ იკითხება არც სსგ-ში და არც წარმოდგენილ დამატებითი სავალდებულო საგნების სასწავლო გეგმებში.<br>სემესტრის მანძილზე მოსწავლეები ფასდებიან სამი კომპონენტის მიხედვით: საშინაო დავალება; საკლასო დავალება; შემაჯამებელი დავალება . სამივე კომპონენტს ერთნაირი წონა აქვს .<br>განსაზღვრულია შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა სემესტრების მიხედვით და ჩაწერილია თითოეული კლასის საათობრივ ბადეში.<br>I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში კურიკულუმით გათვალისწინებული თემის შეჯამების მიზნით, საგნობრივად ტარდება შემაჯამებელი სამუშაო, რომელსაც საგნის მასწავლებელი აფასებს განმავითარებელი შეფასებით.<br>სსგ-ით განსაზღვრულია, საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი დავალებაში 10 ქულაზე მეტი შეფასების სქემის გამოყენების შემთხვევაში, მიღებული ქულის 10 ქულიან სისტემაზე გადაყვანა პრინციპი.<br>სასკოლო გეგმას, დანართის სახით აქვს სხვადასხვა აქტივობის (ტექსტის ანალიზი, დისკუსიის, პრეზენტაციის, რეფერატის, ექსპერიმენტის და ა.შ.) ზოგადი შეფასების რუბრიკები. აქედან, |

| | |
|---|---|
| | რამდენიმე შეფასების რუბრიკაში (საკლასო წერა, საშინაო დავალება, ექსპერიმენტის ჩატარება, ინფორმციის მოძიება) შეფასების კრიტერიუმების 10ქულიანი სისტემა გადანაწილებულია 4 დონეზე. რაც არ შეესაბამება ესგ-ით და სსგ-ით განსზღვრულ აკადემიური მიღწევის დონეებს.<br>სკოლას გაწერილი აქვს შემაჯამებელი დავალებების ჩატარებისა და გაცდენილი შემაჯამებელი დავალების აღდგენის წესები და პირობები. შემაჯამებელი დავალების კომპონენტში სავალდებულოა კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენება. მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს კლასში ჩატარებული ყველა შემაჯამებელი დავალება, გაცდენის შემთხვევაში მოსწავლეს ენიშნება აღდგენითი შემაჯამებელი დავალება, რომელიც შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალური ან ჯგუფური გრაფიკის მიხედვით, გაკვეთილების შემდეგ. შემაჯამებელი დავალების აღდგენა მოხდება სემესტრის დასრულებამდე ან მობილობის შემთხვევაში, სკოლის მიერ ამორიცხვის შესახებ ბრძანების გამოცემამდე.<br>სასკოლო გეგმით განსაზღვრულია კლასისა და საფეხურის დაძლევის ბარიერები, აგრეთვე სემესტრული, წლიური, საფეხურის ქულების გაანგარიშების წესები, სემესტრული, საშემოდგომო და ექსტერნის გამოცდების ჩატარების წესები და პირობები.<br>2022-2023 სასწავლო წელს განსაზღვრულია წლიური გამოცდების ჩატარება მათემატიკასა და ინგლისურში VII-XII კლასებში, გამოცდის ქულას გავლენა არ ექნება საგნის წლიურ ქულაზე. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სასკოლო სასწავლო გეგმა<br>• შეფასების რუბრიკები<br>• შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა კლასებისა და სემესტრების მიხედვით |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| |
|---|
| 1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს ,,ჯეო სქაი სქულს“ შემუშავებული აქვს მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებისა და მშობელთან კომუნიკაციის დებულება. დებულება დამტკიცებულია დირექტორის №1/15 ; 07/04/2022 ბრძანებით.<br>დებულების მიზანია:<br>• მშობლებსა და მასწავლებლებს შორის კომუნიკაციის ხელშეწყობა<br>• მშობელთა დროული ინფორმირება სკოლის მიზნების, დაგეგმილი ღონისძიებების, დისციპლინური ნორმების, შეფასების ინსტრუმენტების თაობაზე;<br>• მშობლების დროული ინფორმირება მოსწავლის აკადემიურ მოსწრების თაობაზე;<br>• სასწავლო პროცესის მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგების ხელშეწყობა;<br>• სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის ზრდის ხელშეწყობა<br>აღნიშნული დებულებით განსაზღვრულია მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლება-მოვალეობები, სკოლაში გამოცხადების, კომუნიკაციის და მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესები.<br>დაწესებულებაში არის „განცხადებების დაფა“, სადაც განთავსდება მშობლისათვის საინტერესო ინფორმაცია, სიახლეები, დაგეგმილი შეხვედრებისა და ღონისძიებების გრაფიკი. მშობლისთვის ინფორმაციის მიწოდების დროს დაუშვებელია მოსწავლის პიროვნული ღირსებების შელახვა, უხეშობა. შეფასება უნდა იყოს ობიექტური, მრავალმხრივი და აუცილებლად პოზიტიურიდან პრობლემისაკენ მიმართული. სასწავლო წლის დასაწყისშივე უნდა მოხდეს მოსწავლისა და მშობლის ინფორმირება მოსწავლის მიერ გაკვეთილების გაცდენის შემთხვევაში მოსალოდნელი სავარაუდო შედეგების შესახებ. სკოლას ხელშეკრულება აქვს გაფორმებული schoolbook-თან, რომელიც უზრუნველყოფს მშობლის მუდმივად ინფორმირებულობას შვილის აკადემიურ მოსწრებაზე. მშობელი ჩართული უნდა იყოს სასკოლო ცხოვრებაში. თითოეულ მშობელს შესაძლებლობა აქვს თავისი სურვილისამებრ მონაწილეობა მიიღოს |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სკოლის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებსა თუ აქტივობებში. მოსწავლის აკადემიური მოსწრების, პირადი ურთიერთობების, დისციპლინის შესახებ ინფორმაცია კონფიდენციალურია და მისი განხილვა საჯაროდ დაუშვებელია.<br>მოსწავლის პირად ინფორმაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე ტუტორი ან ადმინისტრაციის წევრი ინდივიდუალურად ხვდება მშობელს; ტუტორი ვალდებულია ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში მშობელს/მოსწავლეს მიაწოდოს ინფორმაცია და გააცნოს შემდეგი დოკუმენტები:<br>• სკოლის შინაგანაწესი;<br>• მოსწავლის ქცევის კოდექსი;<br>• სახელმძღვანელოების ნუსხა;<br>• ევაკუაციის გეგმა, საგანგებო სიტუაცების დროს სამოქმედო გეგმა და ქცევის წესები;<br>• ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;<br>• სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა;<br>• სკოლაში დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობების შესახებ ინფორმაცია<br>სკოლის მიერ შემუშავებული მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი უზრუნველყოფს მშობლის სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებისა და მშობელთან კომუნიკაციის დებულება.<br>• schoolbook-თან გაფორმებული ხელშეკრულება 31/08/22 № 22SG0903-02;<br>• ტუტორის სამუშაო დებულება<br>• გასაუბრება სკოლის დირექციასთან |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი | დაწესებულებამ წარმოადგინა დირექტორის მიერ დამტკიცებულია შპს ,,ჯეო სქაი სქულ'-ის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| მიმოხილვა და ანალიზი | სწავლების ხარისხის შეფასების ციკლი შედგება შემდეგი ეტაპებისგან: ,,დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“. სკოლაში გათვალისწინებულია სასწავლო პროცესის მონიტორინგი, გაკვეთილზე ურთიერთდასწრება. შექმნილია ხარისხის ჯგუფი, მასწავლებელთა საჭიროების დადგენისა და პროფესიული განვითარების მიზნით.<br>სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმის სრულყოფისთვის შემუშავებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა, რომელიც განსაზღვრავს წლის განმავლობაში ჩასატარებელ ღონისძიებებს.<br>რეაგირებისა და გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით, შეფასების ერთ-ერთ საკვანძო და მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს მონიტორინგის შედეგების ანალიზი, რომლის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია სასწავლო წლის დასრულების შემდეგ ჩატარებული ე.წ. „SWOT“-ანალიზი. SWOT ანალიზის იძლევა სურათ, როგორ განვითარდა სკოლა, რა პრობლემები გადაიჭრა და რა ახალი პრობლემები გაჩნდა, განვითარების რა პერსპექტივები და საფრთხეები არსებობს და ა.შ.<br>მონიტორინგის,შეფასება-შემოწმებისა საფუძველზე, დაწესებულება შეიმუშავებს რეკომენდაციებსა, რაც გათვალისწინებული იქნება ახალი სასწავლო წლის დაგეგმვის პროცესში და ახალი სასკოლო გეგმის შემუშავების დროს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ხარისხის ჯგუფის დებულება<br>• ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | |
| რჩევები: | |
| ხარვეზები: | |
| სტანდარტის შეფასება | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

## 2. მატერიალური რესურსი

| 2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის: | |
|---|---|
| **ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი:** | |
| **დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:** | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | დაწესებულება სასწავლო პროცესის განხორციელებას გეგმავს თბილისში, კრწანისის ქ.№38 მდებარე შენობაში. სკოლის დირექტორსა და შენობის მფლობელს შორის გაფორმებულია ექვსწლიანი იჯარის ხელშეკრულება.<br>საჯარო რეესტრის ამონაწერით, შენობა განთავსებულია 1100კვ.მ მიწის ფართობზე.<br>მთავარი შესასვლელიდან (ქუჩის მხრიდან) სკოლის შენობა ორსართულიანია, ხოლო შიდა ეზოდან ოთხსართულიანი.<br>სართულების მიხედვით ფართი განაწილებულია შემდეგნაირად:<br>I სართული-166.42 კვ.მ<br>II სართული-173.17 კვ.მ<br>III სართული- 167.21 კვ.მ.<br>ნახევარსარდაფი- 148.37 კვ.მ.<br>შიდა აზომვითი ნახაზით შენობის საერთო ფართი-655,17 კვ.მ-ია.<br>დამფუძნებლებმა დააანონსეს სკოლისთვის ახალი ულტრათანამედროვე შენობის აშენება. შემუშავებულია არქიტექტორული პროექტი, რომელიც განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე. შერჩეულია სკოლის შენობისთვის ადგილი, კრწანისი I ჩიხი №23, რომლის მფლობელი, საჯარო რეესტრის მიხედვით, სკოლის ერთ-ერთი დამფუძნებელია. სკოლა განთავსდება- 6585.00 კვ.მ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ფართზე. გაფორმებულია ხელშეკრულება (2022 წლის 3 აგვისტო) შპს ,,სქაი ქონსტრაქშენ გრუპ“-თან სკოლისთვის შენობის აშენებაზე. ხელშეკრულებით განსაზღვრულია სამუშოს შესრულების ვადა- 30 თვე, ხელშეკრულების დადებიდან.<br>ახალ შენობაზეა საუბარი დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმაშიც, საიდანაც ჩანს, რომ 2024-2025; 2025-2026წლებისთვის სკოლას ახალი შენობის ექნება. აღსანიშნავია, რომ მითითებული ვადები თანხვედრაშია მშენებელ კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების ვადებთან.. |
| *ფაქტობრივი მისამართი* | თბილისი, კრწანისის ქუჩა N 38 |
| *მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი* | 01.18.06.015.087 |
| *კვ.მ.* | 1100კვ.მ |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები | • ამონაწერები საჯარო რეესტრიდან: ს/კ 01.18.06.015.087 განცხადების რეგისტრაცია N 882022629141 - 31/08/2022 16:43:50<br>• შენობის შიდა აზომვითი ნახაზით<br>• იჯარის ხელშეკრულება, რეგისტრაციის ნომერი N220570373, დამოწმების თარიღი 8/05/2022, შეთანხმება იჯარის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანაზე N221131227 დამოწმების თარიღი 31/08/2022<br>• ხელშეკრულება- შპს ,,სქაი ქონსტრაქშენ გრუპ“-თან -03/08/2022 |
| შეფასება | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან | დაწესებულების შენობაში 12 საკლასო ოთახია. საკლასო ოთახები |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | აღჭურვილია 162 ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული ერთადგილიანი მერხებით და შესაბამისი რაოდენობის სკამებით, მასწავლებლის მაგიდებით, სასკოლო დაფებით და კარადებით. გარდა აღნიშნული ინვენტარისა საკლასო ოთახებიში არის სხვადასხვა სახის სასწავლო თვალსაჩინოებები.<br>სასწავლო მიზნების განხორციელებისთვის შენობაში ასევე არის კომპიუტერული კლასი, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო, ექიმის კაბინეტი, ადმინისტრაციის სამუშაო ოთახები, სპორტის გაკვეთილებისთვის სივრცე. ასევე პირველი სართულზე განთავსებულია დამატებითი სავალდებულო პროგრამების განხორციელებისთვის სამუშაო ოთახები.<br>ინვენტარის ფლობის დამადასტურებლად სკოლამ წარმოადგინა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება შპს ,,კრწანისი სკოლა-კრწანისი მარჯი“-თან(ს/კ 404512611) 31/08/2022 გაფორმებული ჩუქების ხელშეკრულება შესაბამისი დანართით და მიღება-ჩაბარების აქტით.<br>აღსანიშნავია, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება შპს ,,კრწანისი სკოლა--კრწანისი მარჯი“ (ს/კ 404512611) ფუნქციონირებადა იმავე შენობაში, სადაც სასწავლო პროცესის განხორციელება სურს შპს ,,ჯეო სქაი სქულს“.<br>მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით სკოლის მფლობელობაშია: 169 ერთადგილიანი მერხი და სკამი, 13- კომპიუტერი, 1 -ლეპტოპი, 1-პროექტორი, 18-სასკოლო დაფა, 1- სმარტ დაფა. ვიზიტის დროს დაწესებულებამ კიდევ წარმოადგინა 7-ჭკვიანი დაფის შესყიდვის დოკუმენტაცია-ინვოისი და საქართველოს ბანკის გადახდის ქვითარი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება<br>• ჩუქების ხელშეკრულება-შპს ,,კრწანისი სკოლა-კრწანისი მარჯი“-(ს/კ 404512611) 31/08/2022<br>• საქართველოს ბანკის გადახდის ქვითარი. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სპორტის გაკვეთილებისთვის განსაზღვრულ ოთახში (40კვ.მ) განთავსებული იყო სპორტული ინვენტარი: ზაგირი, სპორტული ლეიბები, სხვადასხვა სპორტის სახეობის ბურთები, ლახტი და სხვა. ვიზიტის დროს, დაწესებულებამ მიიღო გადაწყვეტილება, სპორტის გაკვეთილებისთვის პირველ (ნახევარსარდაფი) სართულზე მოაწყოს სივრცე, რომელიც შედარებით დიდია (60კვ.მ) და შესაძლებელია გასახდელების მოწყობაც. ოთახს აქვს საშუალო ზომის სარკმლები, რაც ბუნებრივი ვენტილაციის წყაროა, ასევ დერეფანი გადის ეზოში, სადაც ასევე მოწყობილია ხელოვნურსაფარიანი ღია სპორტული მოედანი ერთი კალათბურთის ფარით.<br>მოსწავლეებს წრის სახით, შეთავაზებული აქვთ ცურვის გაკვეთილები. დაწესებულების განმარტებით, მიმდინარეობს საცურაო აუზთან ხელშეკრულების გასაფორმებლად პირობების დაზუსტება. ასევე, იგეგმება სასწავლო წლის დაწყებამდე მიკროავტობუსის შეძენა, მოსწავლეთა ტრანსპორტირებისთვის. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერებით<br>• შენობის აზომვითი ნახაზით<br>• ჩუქების ხელშეკრულება---შპს,,კრწანისი სკოლა-კრწანისი მარჯი“-(ს/კ 404512611) 31/08/2022 |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | საბუნებისმეტყველო ლაბორატორია განთავსებულია შენობის მე-2 სართულზე. ლაბორატორიაში დამონტაჟებულია სველი წერტილი, გამწოვი, თაროებზე განთავსებულია ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია-ანატომიის სასკოლო ლაბორატორიების აღჭურვილობა, რომელიც შესაბამისობაშია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 9 აგვისტოს N572 ბრძანებით განსაზღვრულ ჩამონათვალთან. ,,ზოგადსაგანმანათლებლო |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ“ . |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება<br>• ჩუქების ხელშეკრულება-შპს ,,კრწანისი სკოლა-კრწანისი მარჯი“-(ს/კ 404512611) 31/08/2022 |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| 2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | საკლასო ოთახები განთავსებულია შენობის I, II და III სართულებზე. ოთახების აქვს ბუნებრივი განათების შესაძლებლობა. კომპიუტერულ ლაბორატორიაში არის მეორადი განათება, თუმცა დამონტაჟებული დღის განათების ნათურები უზრუნველყოფს კომპიუტერული ლაბორატორიაში კარგ განათებას. შენობაში დამონტაჟებულია გათბობის ცენტრალური სისტემა. ელექტროენერგია და წყალი დაწესებულებას მიეწოდება უწყვეტად. წარმოდგენილი გადახდის ქვითრებში გადამხდელად ფიქსირდება შპს,,კრწანისი სკოლა-კრწანისი მარჯი“, დაწესებულებამ 30 აგვისტოს წერილით მიმართა შპს ,,თბილისი ენერჯის“ აღნიშნულ მისამართზე გადამხდელის სახელის ცვლილების შესახებ. სკოლას აქვს ალტერნატიული დენის წყარო- გენერატორი.<br>შენობის ყველას სართულზე არის სველი წერტილები, მათ შორის ნახევარსარდაფიც. სველი წერტილები განკუთვნილია ბიჭებისთვის, გოგნებისთვის, სსსმ მოსწავლისთვის და თანამშრომლებისთვის. სველი წერტილები მოწესრიგებულია და დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება<br>• კომუნალური გადასახადის გადახდის დოკუმენტაცია<br>• დაწესებულების წერილი შპს ,, თბილისი ენერჯი“ 30/08/2022 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • ჩუქების ხელშეკრულება-შპს ,,კრწანისი სკოლა-კრწანისი მარჯი"-(ს/კ 404512611) 31/08/2022 |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს "ჯეო სქაი სქულ"-ის ბიბლიოთეკა არის სკოლის სტრუქტურული ერთეული, რომელშიც განთავსებულია სახელმძღვანელოები, დამხმარე და მეთოდური ლიტერატურა, ბეჭდვითი გამოცემები, მხატვრული, შემეცნებითი სახის ლიტერატურული და საინფორმაციო მასალები.<br>მოქმედებს წიგნადი ფონდის როგორც ბეჭდური ასევე ელექტრონული აღრიცხვა. სკოლა აქვს ელ. ბიბლიოთეკა-OpenBiblio. შემუშავებულია ბიბლიოთეკის დებულება. გამოკრულია ბიბლიოთეკაში ქცევისა და წიგნით სარგებლობის წესები. ასევე ბიბლიოთეკის მუშაობის განრიგი. ბიბლიოთეკაში დგას 1 ინტერნეტქსელში ჩართული კომპიუტერი, წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო კლასიფიკაციისა და კატალოგიზაციის წესით და აღრიცხულია საინვენტარო წიგნში (1543 წიგნი). დაწესებულებაში მოქმედებს ანბანურ-სისტემური კატალოგი და მკითხველის ბარათები. ბიბლიოთეკაში არის სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები და დამხმარე სახელმძღვანელოები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება<br>• ბიბლიოთეკის დებულება<br>• ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნი<br>• საბიბლიოთეკო პროგრამა ,,OpenBiblio"-ს შესყიდვის დოკუმენტაცია- 01/07/2022 |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| 2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის. შენობის შესასვლელში მოწყობილია პანდუსი. პანდუსები დამზადებულია კიბეებისთვის და ასევე იმ ადგილებისთვის სადაც ეტლით გადაადგილება ვერ ხერხდება. შენობაში მოწყობილია ადაპტირებული სველი წერტილი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| 2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. კომპიუტერული კლასში დგას 6 ინტერნეტქსელში ჩართული კომპიუტერი. კომპიუტერული ტექნიკა გამოიყენება როგორც სასწავლო პროცესში ასევე სკოლის მართვაშიც. სულ სკოლის მფლობელობაშია 14 კომპიუტერი, მათ შორის 1 ლეპტოპია. სკოლაში არის 1-პროექტორი, 4-პრინტერის აპარატი. 1-სმარტ დაფა. დაწესებულებამ ვიზიტის დროს კიდევ შეიძინა 7 ჭკვიანი დაფა.<br>დაწესებულებას აქვს ვებგვერდი www.geoskyschool.ge, სადაც თემების მიხედვით განთავსებულია ინფორმაცია დაწესებულების შესახებ. საკომუნიკაციოდ მითითებულია საკონტაქტო ინფორმაცია; მისამართი, ტელეფონის ნომრები და ელ. ფოსტა. ვებგვერდიდან შესაძლებელია შეტყობინების გაგზავნაც. დაწესებულებას ხელშეკრულება აქვს გაფორმებული ელ. ჟურნალ- ,,schoolbook”-თან. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვებგვერდი: /www.geoskyschool.ge<br>• ჩუქების ხელშეკრულება-შპს ,,კრწანისი სკოლა-კრწანისი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მარჯი“-(ს/კ 404512611) 31/08/2022<br>• მიღება ჩაბარების აქტი<br>• schoolbook-თან გაფორმებული ხელშეკრულება 31/08/22 № 22SG0903-02<br>• ხელშეკრულებით შპს ,, მაგთიკომთან“<br>• ინვოისი და გადახდის ქვითარი შპს ,, ჰოსტნოუდსი“-სთან<br>• ვებგვერდის დამზადების გადახდის ქვითარი |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | |
|---|---|
| ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, დაწესებულების შენობა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით: ყველა სართულზე განთავსებულია ცეცხლმაქრები, საევაკუაციო გეგმები, შენობის საევაკუაციო გზებზე მოწყობილია ავარიული განათებები და „საევაკუაციო გზის“ მიმართულების მაჩვენებელი მანათობელი ნიშნები, დამონტაჟებულია კვამლის დეტექტორები.<br>ცეცხლმაქრები განთავსებულია საევაკუაციო გეგმით განსაზღვრულ ადგილებში. ნახევარსარდაფში არის სახანძრო სტენდი. სულ შენობაში განთავსებულია 9 ცეცხლმაქრი. შენობას აქვს ერთი ძირითადი და ერთი სათადარიგო გასასვლელი, შენობის გარე კედელზე, ეზოს მხრიდან დამონტაჟებული სახანძრო კიბე.<br>შემუშავებულია „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების“ პროექტი. აღნიშნული წესის მე-10 მუხლით განსაზღვრულია უსაფრთხოების რეკომენდაციები და მექანიზმები ხანძრისა და ბუნებრივი კატაკლიზმების დროს, ამასთან, პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით, სკოლას ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება<br>• ჩუქების ხელშეკრულება-შპს ,,კრწანისი სკოლა-კრწანისი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მარჯი“-(ს/კ 404512611) 31/08/2022 |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შენობაში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმები.<br>საევაკუაციო გეგმის მიხედვით დერეფნებში განთავსებულია მიმართულების მანიშნებელი ისრები, თუ როგორ მოხდება ხალხის ნაკადის გადაადგილდნენ ევაკუაციის დროს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფად, დაწესებულებას შემუშავებული აქვს ,,სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი“. აღნიშნული წესი მოიცავს სამედიცინო დახმარების კაბინეტის მოწყობას, განსაზღვრავს საჭირო ადამიანურ რესურსის კვალიფიკაციას, გაუთვალისწინებელი, უბედური შემთხვევების დადგომის დროს გასატარებელი ღონისძიებებს და პირველადი დახმარების პროტოკოლს.<br>დაწესებულებაში პირველადი სამედიცინო დახმარების მიზნით, შენობის მეორე სართულზე (მთავარი შესასვლელიდან პირველი სართულია) მოწყობილია სამედიცინო კაბინეტი 13.02 კვ.მ ფართის ოთახში.<br>სამედიცინო კაბინეტი აღჭურვილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №41/ნ/01-23/ნ-ის შესაბამისად. დაწესებულებამ ვიზიტის დროს შეიძინა ზოგიერთი სამედიცინო კაბინეტისთვის საჭირო ინვენტარი. კერძოდ, საკაცე და ტიხრული შირმა. სკოლას ჰყავს კვალიფიციური ექიმი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი-ბრ.№1/12; 04/04/22<br>• ექიმთან გაფორმებული ხელშეკრულება<br>• სამედიცინო ინვენტარისა და მედიკამენტების შეძენის დიკუმენტაცია. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დაწესებულებას შემუშავებული და სამინისტროსი შესათანხმებლად გაგზავნილი აქვს ,,უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის წესების პროექტი“, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრის 2019 წლის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ გათვალისწინებით. დაწესებულების ტერიტორიაზე წესრიგის დაცვასა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელია სკოლის დაცვა. სასწავლო პროცესის დროს მოსწავლეთა წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს მორიგე მასწავლებლები და ტუტორები. უსაფრთხოების მიზნით საკლასო ოთახების აივნებს შემოვლებული აქვს დამცავი ბადეები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება<br>• ,,უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“-პროექტი<br>• წერილი № 04/01 საქართველო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 14/07/2022<br>• საშტატო განრიგი |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | პერიმეტრის დათვალიერება ხდება ვიდეოკამერებით. შენობის გარე პერიმეტრზე დამონტაჟებული იყო 3 ვიდეოთვალი, მათ შორის ერთი მთავარ შესავლელში. რაც ვერ უზრუნველყოფდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს N1143 ბრძანებით გათვალისწინებული წესების დაცვას.<br>ვიზიტის დროს შენობის მთავარ შესასვლელს დაემატა ერთი ვიდეოთვალი. შიდა პერიმეტრს აკონტროლებდა 5 ვიდეოთვალი, ექსპერტთა მიგნებების გათვალისწინების, შიდა პერიმეტრის უკეთ დათვალიერების მიზნით დაემატა 3 ვიდეოთვალი.<br>დაწესებულების ,,უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების'' პროექტის მე-5 თავი ითვალისწინებს დაწესებულების ვიდეოთვალთვალის სისტემებით აღჭურვისა და ადმინისტრირების, ასევე პერსონალურ ინფორმაციის შეგროვების, დამუშავების, გამოყენებისა და შენახვის წესებს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება<br>• ,,უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების'' პროექტის. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დაწესებულების ადმინისტრაციული და დამხარე პერსონალის, მასწავლებლების და მოსწავლეების საქმიანობა, ასევე სასწავლო პროცესი იგეგმება და ხორციელდება სკოლის წესდების, შინაგანაწესის, დებულების, საქმისწარმოების წესისა და ყველა |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სტრუქტურული ერთეულისათვის შემუშავებული დებულებების შესაბამისად. მოცემულ დოკუმენტებში გაწერილია სკოლის და სტრუქტურული ერთეულების მიზნები, ამოცანები, ფუნქციები და ვალდებულებები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის წესდება;<br>• შინაგანაწესი;<br>• საქმისწარმოების წესი;<br>• სკოლის დებულება;<br>• სტრუქტურული ერთეულების დებულებები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას წარმოდგენილი აქვს სკოლის განვითარების ექვსწლიანი გეგმა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც გამომდინარეობს დაწესებულების მისიიდან. დაგეგმილი ღონისძიებები და აქტივობები გამომდინარეობს დაწესებულების ღირებულებებიდან და ხედვიდან. აღნიშნული გეგმები მორგებულია სკოლის მატერიალური რესურსის ეფექტიანად გამოყენებასა და მათ გაუმჯობესებაზე. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ექვსწლიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები;<br>• სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლაში მიმდინარეობს გამოცემული კორესპონდენციის აღრიცხვა. საქმისწარმოებისთვის მოქმედებს შემდეგი ჟურნალები:<br>• საერთო ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი;<br>• მოსწავლეთა ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • შემოსული კორესპონდენციის სარეგისტრაციო ჟურნალი;<br>• გასული კორესპონდენციის სარეგისტრაციო ჟურნალი;<br>• შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი;<br>• მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან დადებული ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი.<br>ყველა ჟურნალი დამუშავებულია საქმისწარმოების წესის შესაბამისად. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • საქმისწარმოების წესი<br>• ჟურნალების ვიზუალური დათვალიერება |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | |
| რჩევები: | |
| ხარვეზები: | |
| სტანდარტის შეფასება | ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

## 3. ადამიანური რესურსი

| 3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალი„ზი | სასკოლო სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის სკოლას ჰყავს 28 მასწავლებელი, მათ შორის 22 მასწავლებელი ასწავლის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სავალდებულო საგნებს. ადმინისტრაციის წევრებია: დირექტორი, მარკეტინგის მენეჯერი, დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში, ფინანსური მენეჯერი. დამხმარე პერსონალი: შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, ექიმი, საქმის მწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, IT |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მენეჯერი, 12 ტუტორი, დაცვა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ხელშეკრულებები და პირადი საქმეები;<br>• სკოლის შინაგანაწესი;<br>• საშტატო განრიგი;<br>• 2022-2023 წლის საათობრივი ბადე;<br>• გასაუბრება ადმინისტრაციასთან |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ | |
|---|---|
| პედაგოგთა საერთო რაოდენობა | 22 |
| მოწვეული/მაძიებელი | 1/2 |
| პრაქტიკოსი მასწავლებლი | |
| უფროსი მასწავლებლი | 19 |
| წამყვანი მასწავლებლი | 0 |
| მენტორის სტატუსი | 0 |

| 3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | მასწავლებლები შერჩეულები არიან „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. ყველა მასწავლებელი ვინც ასწავლის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამის საგნებს ჩართულნი არიან მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ხელშეკრულება<br>• eSchool ბაზა |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის შინაგანაწესის მიხედვით გაწერილია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები. სკოლაში ფუნქციონირებს „მასწავლებელთა ვაკანტური საათების შესავსებად კონკურის ჩატარების წესი“ რომელშიც ნაწილობრივ იყო გაწერილი მასწავლებლის დასაქმების პროცედურები, რაც არ გამომდინარეობდა 174 ნ ბრძანებიდან, ექსპერტების ვიზიტის პერიოდში გაიცა რეკომენდაცია, რომლის საფუძველზეც აღნიშნული წესში სკოლამ შეიტანა შესაბამისი ცვლილებები. ასევე სკოლის შინაგანაწესი განსაზღვრავს თანამშრომელთა შერჩევის მიღებისა და გათავისუფლების საკითხებს, სანქციების გონივრულ ნორმებს და წახალისების ფორმებს. აღსანიშნავია, რომ ვინაიდან სკოლას ჯერ არ აქვს ოფიციალური სტატუსი პედაგოგების შესარჩევად teachers.gov.ge საიტზე არ აქვთ ოფიციალური წვდომა, თუმცა დირექციასთან და პედაგოგებთან კომუნიკაციით გაირკვა, რომ სკოლა, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება- შპს ,,კრწანისი სკოლა-კრწანისი მარჯი“-ს (ს/კ 404512611)<br>სახელით დებდა სასურველ ვაკანსიებს, რომელიც რეავტორიზაციას არ აპირებს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის შინაგანაწესი;<br>• მასწავლებელთა ვაკანტური საათების შესავსებად კონკურის ჩატარების წესი;<br>• სკოლის დირექტორთან გასაუბრება<br>• მასწავლებლებთან გასაუბრება;<br>• ვაკანსიის ოქმები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| 3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება. ხელშეკრულების შინაარსს წარმოადგენს: ზოგადი დებულებები, ხელშეკრულების მხარეთა უფლებები და მოვალეობები, შვებულების მიცემის წესი, სამუშაო დრო და დასვენების დრო, შრომის ანაზღაურების ოდენობა და ანაზღაურების წესი, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი, მხარეთა პასუხისმგებლობის წესი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერა. აღსანიშნავია, რომ ინგლისური ენის პედაგოგთან გაფორმებული იყო უფროსი მასწავლებლის ხელშეკრულება ნაცვლად მაძიებლისა, რაც სკოლამ ვიზიტის პერიოდშივე გამოასწორა.<br>მასწავლებლებთან ხელშეკრულებები ძალაში შედის 12 სექტემბრიდან 2023 წლის 1 სექტემბრამდე ვადით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • გაფორმებული ხელშეკრულებები;<br>• სკოლის შინაგანაწესი;<br>• ორგანიზაციის წესდება;<br>• პირადი საქმეები;<br>• გასაუბრება სკოლის ადმინისტრაციასთან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები, შექმნილია ხარისხის განვითარების ჯგუფი, რომელიც მუშაობას დაიწყებს სკოლის ავტორიზაციის მინიჭების შემდეგ. ვინაიდან დაწესებულება ამ ეტაპზე არ ფუნქციონირებს სკოლის დირექციამ და მასწავლებლებმა ინტერვიუების დროს ისაუბრეს სამომავლო გეგმებზე. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმები, რომელშიც გაწერილია ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების გზები და პროცედურები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის 2022-2023 სამოქმედო გეგმა<br>• ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმები<br>• გასაუბრება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის შინაგანაწესის თანახმად, სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს აქვს აზრის თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობა. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია მრავალფეროვანი არჩევითი საგნები, რაც მოსწავლეებს საშუალებას მისცემს გამოავლინოს საკუთარი ინტერესების და შესაძლებლობები.<br>მასწავლებლებმა ინტერვიუების პროცესში აღნიშნეს, რომ აქტიურად ხდება ურთიერთთანამშრომლობა საგნობრივ კათედრებზე, რაც ეხმარება მათ სასწავლო პროცესის ეფექტურად დაგეგმვაში. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის შინაგანაწესი;<br>• სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>• დამატებითი საგნების პროგრამები;<br>• გასაუბრება; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | |
| რჩევები: | |
| ხარვეზები: | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **სტანდარტის შეფასება** | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

## XI. თანდართული დოკუმენტაცია

თარიღი

ქ. თბილისი. 16. 09. 2022.

(შევსებისადგილი)

გვერდების რაოდენობა - 42 გვერდი (დასკვნა)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.